ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N35010401/185

ქ. თბილისი

,,26" ,,ნოემბერი" 2014 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო"** (შემდგომში -შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გაიოზ თალაკვაძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „იუ–ჯი–თი"** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ერმილე სულაძის** სახით (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის N1693 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. "დღე", "წელი", ნიშნავს კალენდარულ დღეს, წელს.

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის საჭიროებისათვის 120 (ას ოცი) ცალი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის (მაგიდის კომპიუტერი) (CPV-30213300) სახელმწიფო შესყიდვა დანართი N1–ის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2. შესასყიდი საქონლის ზუსტი აღწერილობა მოცემულია დანართ N1–ში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 92 760 (ოთხმოცდათორმეტი ათას შვიდასსამოცი) ლარს.

3.2. ერთი ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის (მაგიდის კომპიუტერი) ფასია 773 (შვიდას სამოცდაცამეტი) ლარი.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ღირებულებას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;

4.1.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

4.1.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
4.1.5. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
4.1.6. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ლევან ჩერქეზიშვილი.
5.2. საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.
5.3. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებულ მახასიათებლებთან.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.
6.2. შესყიდვის ობიექტი მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ.N17ა.
6.3. მიწოდებულ საქონელთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში.
7.2. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს, შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირის მონაწილეობით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი.
7.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ლევან ჩერქეზიშვილი. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია პროექტების მენეჯერი გელა გაფრინდაშვილი.
7.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას მხარეები ახორციელებენ მიწოდებული საქონლის ვიზუალურ დათვალიერებას ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ინსპექტირებას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის ქ.N17ა, რის შემდგომაც დგება მიღება–ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად.
7.5. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი განაცხადოს ისეთი საქონლის მიღებაზე და შესაბამისად მის ანაზღაურებაზე, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულების N1 დანართით გათვალისწინებულ მახასიათებლებს.

8. გარანტია

8.1. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება 3 (სამი) წლის ვადით.
8.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საგარანტიო ვადის განმავლობაში, უზრუნველყოს დაზიანებული ტექნიკის შეკეთება ან შეცვლა 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფრხველად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას მოთხოვნიდან და

საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში (ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ.N17ა) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო. წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.3. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს“ მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო–ანგარიშ ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.4. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტით განსაზღვრული მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

10.2.წინამდებარე ხელშეკრულების 8.2. პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია დააკისროს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაზიანებული ტექნიკის ღირებულების 0. 01%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 9.3. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0. 01%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელზე“ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, „შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11.2. საგარანტიო პირობების შესრულების მიზნით ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით;

12.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

12.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა

და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება – შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

15.2შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი კალენდარული დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

15.3.იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

16.2. ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით.

16.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

16.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

16.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.

16.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და/ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

17.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება გამომდინარეობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან.

17.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
17.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
17.6. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.
17.7. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთობლიობაში.
17.8. ხელშეკრულება შედგენილია 6 გვერდზე 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.9. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან".

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო"

მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144

ს/კ – 202178927

მიმწოდებელი:

შპს „იუ–ჯი–თი"

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა
ს/კ 204892964

საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

გაიოზ თალაკვაძე
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ერმილე სულაძე
გენერალური დირექტორი

ვიზირებულია: თ. მოდებაძე

ლ. მამულაშვილი

ზ. დათუკიშვილი

ზ. ჭანტურია

ა. ვასაძე

ლ. ჩერქეზიშვილი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N35010401/185

„26“ „11“ 2014წ.

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	Acer Veriton X2631G Desktop PC Desktop: i3 4150, 4GB, 500GB, 10/100/1000, DIMM-2x, Dual Channel; PCI-E 16x-1x, PCI-E 1x-1x, USB 3.02xreal, USB 2.04xback, DVI-D, VGA, Keyboard, Mouse	ცალი	120	588.00	70 560
2	Acer V226HQLBD Monitor 21.5, 16:9, 1920x1080, 5ms, 170/160, 30,000,000:1,250cd/m,-5+25, DVI, VGA	ცალი	120	185.00	22 200
				სულ:	92 760 ლარი

შემსყიდველი:

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“

მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144
ს/კ – 202178927

მიმწოდებელი:

შპს „იუ ჯი თი“

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №17ა,
ტელეფონი: 2 22 05 05,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№GE88BG0000000261644601,
სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: BAGAGE22,
ს/კ – 204 892 964

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გაიოზ თალაკვაძე

გენერალური დირექტორი

ერმოლე სულაძე